ედუარდ კავთიძე, თამარ ლაგვილავა

განაწილებითი ურთიერთობები და კონიუნქტურები თანამედროვე პირობებში

ედუარდ კავთიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თამარ ლაგვილავა
სტუ-ს დოქტორანტი

დღევანდელ პირობებში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას ღებულობს კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმება, სადაც უმთავრესია შემდეგი პრინციპი: „ან ყველა, ან არავინ". ასეთ ხელშეკრულებებში ჩადებულია ისეთი პუნქტები, რომლებიც ეხება არა მარტო ხელფასის ოდენობას, არამედ დასაქმებულთა რაოდენობასაც. შემდეგ, როცა ადმინისტრაციაში ხდება მუშათა წარმოდგენა, „კორპორაციული პასუხისმგებლობის პრინციპი" მიდის იქითკენ, რომ ფირმის მიზანი „მოგება" და „ეფექტიანობა" ადგილს უთმობს დასაქმების გაზრდის პროცენტს, შრომის ანაზღაურების გაზრდასა და მის უსაფრთხოებას. საბოლოოდ, დასქმების შემცირება სულ უფრო მცირედ ზემოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასის ოდენობის გაზრდაზე.

იზრდება ფასების დიფერენციაციის როლი (სამომხმარებლო საქონელზე, საყოფაცხოვრებო და ჯანდაცვის მომსახურებაზე, განათლებაზე და ა.შ.) შემოსავლების განაწილების პროცესში. ამ ფასების როლი სულ უფრო ფართოვდება და ვითარდება.

რეგრესული სახელმწიფო ხარჯები, როგორც შემოსავლების განაწილების ინსტრუმენტი, ნაკლებადეფექტურია. ჩვენ შეგვიძლია მივხვდეთ, თუ როგორ ნაწილდება შემოსავლები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის. „მომსახურების ხარჯების" პრობლემის გარდა, არსებობს აგრეთვე „ადმინისტრაციული დანახარჯების" პრობლემა, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ მომსახურებასთან. ამ ხარჯების დიდი ნაწილი გადაიქცევა იმ პირების ჯამაგირად და შემოსავლად, რომლებიც განეკუთვნებიან საშუალო კლასს. შემოსავლების გადანაწილება აზარალებს მდიდართა ინტერესებს საშუალო კლასის სასარგებლოს, ხოლო ღარიბების წილად კი არაფერი არ რჩება.

ცხადია, რომ ღარიბების დახმარებას ექნება არა მიზნობრივი, არამედ საერთო ხასიათი. საქმის არსი აქ მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც ინდივიდი თავად განაგებს თავის შემოსავლებს, მისი კმაყოფილება გაცილებით მეტია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა მისი შემოსავლების ნაწილი იმყოფება სხვისი ზეგავლენის ქვეშ. ჩავთვალოთ, რომ საშუალო კლასი განიცდის ისეთ არაკეთილ (მტრულ) დამოკიდებულებას ღარიბებისადმი, რომ მზად არის წინაარმდეგობა გაუწიოს ნებისმიერ ოპტიმალურ გადანაწილებას, რომელიც მიმართული იქნება ღარიბების მხარდასაჭერად. ასეთ სიტუაციაში შესაძლებელია თუ არა რაიმე ფორმით დავეხმაროთ მათ? უნდა აღინიშნოს, რომ ამ მდგომარეობაშიც კი შეიძლება გამოსავლის პოვნა.

ცნობილია, რომ არსებობს ცნება „საარსებო მოთხოვნილება", რომელიც გულისხმობს ისეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, როგორიცაა: საკვები, ბინა, სამედიცინო მომსახურება, განათლება და ა.შ. უნდა ვივარაუდოთ, რომ საზოგადოების უზრუნველყოფილი ფენები დათანხმდებიან, რომ დახმარება გაუწიონ საარსებო მოთხოვნილებების მინიმალური დონით საზოგადოების ყველაზე არაუზრუნველყოფილ ფენებს. ამასთანავე, საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას ღარიბების დახმარებისათვის განსაზღვრული მიმდინარე და მომავალი შემოსავლების მატება იქნება მეტი იმ თანხაზე, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფოს მიერ.

საყურადღებოა შემოსავლების განაწილების ის მეთოდი, რომელსაც საზოგადოებას სთავაზობდა ჯ. ტობინი. მისი აზრით, აუცილებელი იყო გადასვლა სასურსათო-სატალონო სისტემაზე, სამედიცინო მომსახურება უნდა ყოფილიყო უფასო, მოსახლეობის დაზღვევა გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ხარჯებში. საარსებო მოთხოვნილებები, რომლებსაც ღარიბები საჭიროებენ, საზოგადოების მიერ მიეცემათ მათ უფრო მეტი ხალ-

ისით, ვიდრე ის მსყიდველობითი უნარი, რომლის მიღებასაც ისინი ისურვებდნენ. ტობინი სთავაზობდა საზოგადოებას იმ მომსახურების რაოდენობის გაფართოებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, რომელსაც სახელმწიფო აძლევდა ღარიბებს. ამ თეზისის წამოყენებისას ის ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ შემოსავლების განაწილებისას ადგილი არ ჰქონოდა „უთანაბრობის ბატონობას". ის შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა შემოსავლების მინიმალურ დონესა და „ნეგატიურ" საშემოსავლო გადასახადებს.

ზემოთაღნიშნული მსჯელობის კონტექსტში განვიხილოთ ორი ისეთი ცნების ურთიერთკავშირი, როგორიცაა: შემოსავლების განაწილება და ეკონომიკური განვითარება.

ეკონომიკური განვითარების საწყის სტადიაზე მოსახლეობა იზრდება ჩქარა, ხოლო ძირითადი კაპიტალი - ნელა. არაკვალიფიციური მუშახელის რაოდენობა იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე მასზე მოთხოვნა. შრომა, როგორც წესი, არ წარმოადგენს „სტრატეგიულად მნიშვნელოვან" ფაქტორს ამ ეტაპზე. კაპიტალზე მოთხოვნა, განსაკუთრებით კი - მანქანებსა და მოწყობილობებზე, როგორც წესი, წინ უსწრებს მიწოდებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაგროვება ქვეყნის შიგნით ხორციელდება კაპიტალური კეთილდღეობის იმპორტის ხარჯზე. კაპიტალი წარმოადგენს „სტრატეგიულად მნიშვნელოვან" ფაქტორს. ხელფასისა და შემოსავლების ურთიერთმიმართება კაპიტალთან ურთიერთდამოკიდებულებაში მცირდება, ხოლო შემოსავლების განაწილება უთანაბრობით ხასიათდება და მისგან მოგებას ღებულობენ კაპიტალის მფლობელები. შემდგომში ეკონომიკური განვითარება ხასიათდება მოსახლეობის ზრდის ტემპების შემცირებით, ჩქარდება კაპიტალის დაგროვების პროცესი და სტრატეგიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა კაპიტალი, არამედ კვალიფიციური სამუშაო ძალა. ხელფასის დამოკიდებულება კაპიტალის შემოსავალზე ისევ იზრდება, ხოლო კონცენტრაციის კოეფიციენტი კი მცირდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გაკეთება და რჩევების მიცემა განვითარებადი ქვეყნებისათვის: მოითმინეთ და ეს პერიოდი დამთავრდება. თავიდან საჭიროა ეკონომიკური განვითარების, ხოლო შემდეგ უკვე თანაბრობის მიღწევა.

შემოსავლების უთანაბრობის პრობლემის გადასაწყვეტად განვითარებულ ქვეყნებში წინა პლანზეა წამოწეული შრომითი შემოსავლების განაწილების პრობლემა. ამ ქვეყნებში შრომითი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოს მიერ ამოიღება გადასახადების სახით და ამის შედეგად, შემოსავლებში უთანაბრობა ხდება უფრო მეტად ნათელი. აქ შეიძლება ლაპარაკი ადამიანური კაპიტალის ექსპლოატაციაზეც, რომელიც ჩვენს დღევანდელობაში მეტ აქტუალობას იძენს.

შემოსავლების განაწილების ცვლილების დინამიკა განპირობებულია ორი ურთიერთდაპირისპირებული ფაქტორით. წარმოების თანამედროვე ტექნოლოგია მოითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციას იქ დასაქმებული მუშახელისა და ამითი ეწინააღმდეგება შემოსავლების გათანაბრებას, რადგან არათანაბარ პირობებში აყენებს მაღალკვალიფიციურ მუშახელთან შედარებით დაბალკვალიფიციურ კადრებს, ხოლო განათლების ფართოდ გავრცელება ხელს უწყობს შემოსავლების გათანაბრებას, რადგან მაღალკვალიფიცურ მუშახელს უჩნდება კონკურენტი ასევე მაღალკვალიფიციური და განათლებული პიროვნების სახით.

აქ დღის წესრიგში დგება „ადამიანური კაპიტალის" თეორიის საკითხი. ამ თეორიის მომხრეები შრომით შემოსავლებს შორის არსებულ განსხვავებებს უკავშირებენ „დაბანდებას ადამიანურ კაპიტალში", რომელიჩ შეიძლება განხორციელდეს ოჯახის, თვითონ ინდივიდისა და საზოგადოების მიერ. ეს, პირველ რიგში, არის განათლებაზე გაწეული ხარჯები და აგრეთვე ის ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდის შემდგომ მომზადებასთან. ამ თეორიის მომხრეები მის მართებულობას ამტკიცებენ სტატისტიკური ხასიათის მაჩვენებლებითაც: მოგების ნორმა, რომელიც ჩადებულია „ადამიანურ კაპიტალში", გაცილებით მეტია „სასაქონლო კაპიტალში" ჩადებულ ნორმასთან შედარებით. ამ თეორიის მიხედვით, მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ადამიანთა ფართო მასებისათვის მივყავართ შემოსავლების თანაბრობისაკენ.

თუ დავუშვებთ, რომ შემოსავლების მიმღები პირები შემოსავლას ღებულობენ როგორც ხელფასის სახით, ასევე სხვა ფორმებითაც, მაშინ ამ უკანასკნელის წილი მოგების საერთო მოცულობაში განისაზღვრება შემოსავლების საერთო თანხაში დანაზოგების რაოდენობითა და იმით, თუ როგორ გამოიყენება ეს დანაზოგი. აღსანიშნავია ის, რომ დანაზოგის წილი - ეს არის შემოსავლების დონის ზრდადი ფუნქცია. შემოსავლების მიმღები პირები შეგვიძლია დავყოთ შემოსავლების დონის მიხედვით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში დანაზოგების გამოყენების მიმართულება წარმოადგენს შემოსავლების დონის ფუნქციას. დაბალი შემოსავლების მიმღები პირები ყოველგვარი ზედმეტი შემოსავლების გარეშე, თავიანთ შემოსავალს ახმარენ პირველადი დანიშნულების საგნების შეძენას, საშუალო შემოსავლების მქონე

პირები ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს ფიქსირებული შემოსავლით, ხოლო მაღალი შემოსავლის მქონე პირები თავიანთ შემოსავლებს აბანდებენ მსხვილ კორპორაციებში და ღებულობენ შესაბამისი რაოდენობის აქციებს. ამ შემთხვევაში შემოსავლები დანაზოგებზე შემოსავლების დონის ზრდასთან ერთად მატულობს.

თუ მივიღებთ ნებისმიერ დასაშვებ ვარიანტს, მაშინ კაპიტალდაბანდების წილის ზრდასთან ერთად, წარმოების ერთიან მოცულობაში არა მარტო კლებულობს ხელფასის წილი საერთო შემოსავალში, არამედ კლებულობს საერთო ეროვნულ შემოსავალში დაბალშემოსავლიანთა წილიც, ხოლო მაღალშემოსავლიანთა წილი მატულობს იმდენად, რამდენადაც საერთო შემოსავალი განაწილდება „დამზოგველი კლასის" სასარგებლოდ. ასეთი სიტუაციის გათვალისწინებით, იქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები კი - პირიქით. ამ მსჯელობის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ ვისაც გააჩნია მეტი დანაზოგი, ის საერთო შემოსავალში გადანაწილების შედეგად ღებულობს შემოსავლების უმეტეს ნაწილს.

შემოსავლების განაწილებისას მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ განსხვავებას შემოსავლების დონესა და ფასებს შორის და ამიტომაც, შემთხვევითი არ არის ის ინტერესი, რასაც ამ საკითხის მიმართ ამჟღავნებენ და სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია დამოკიდებულებას საბაზრო სტრუქტურასა და შემოსავლების განაწილებას შორის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფასების ჩამოყალიბება ხდება მოთხოვნის შესაბამისად და მისი ფორმირება ხდება ისეთ დონეზე, რომ ბაზარზე არ მოხდეს საქონლის დაგროვება. განაწილების საკითხების შესწავლა ხელს უწყობს იმას, წარმატებით გადაიჭრას ყველა მასთან დაკავშირებული პრობლემა. მეწარმეების მოლოდინი გამომდინარეობს სხვადასხვა დარგების შემოსავლების დონის გათვალისწინებით. ფასები დგინდება ისეთ დონეზე, რომელიც იძლევა საშუალებას კაპიტალდაბანდებების დაფინანსებისა, რომელიც მიმართული იქნება საბაზრო წილის სისტემატიური ზრდისაკენ. ამაში დიდ როლს ასრულებს ისეთი ფაქტორების შეერთება, როგორიცაა: საბაზრო კონიუნქტურა, დაფინანსების პირობები, სახელმწიფოს ჩარევა, საგარეო საქონელმწარმოებელთა კონკურენცია და სხვა.

ნებისმიერი ჯგუფის (ან ინდივიდის) წილი ეროვნული შემოსავლის განაწილებაში მკაფიოდ განისაზღვრება ფასების დონით, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის მსყიდველობით უნარს ან შემოსავლების რეალურ ღირებულებას.

იმისათვის, რომ კარგად შევისწავლოთ ის ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ შემოსავლების განაწილებაზე, საჭიროა საფუძვლიანად გავაცნობიეროთ ისეთი საკითხების შესწავლია აუცილებლობა, რომლებიც განსაზღვრავენ ფასების დონესა და დანამატების მოცულობას. ასევე, ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ კაპიტალდაბანდებების მოცულობას, დასაქმების ხარისხსა და წარმოების მოცულობას. ე.ი. ყველაფერი ის, რითაც განისაზღვრება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და ერთობლივი მოთხოვნის მოცულობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯ. ტობინი, „სამართლისა და ეკონომიკის ჟურნალი", 17, გვ, 23, 2007.
2. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბ., «ნეკერი», გვ. 45, 2011.
3. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა «დიოგენე», თბ., 2007.
4. Georgia In Figures. Statistical Publication. 2010. National statistices office of Georgia. Tbilisi. 2010.
5. Блинов А.А. Мотивация персонала корпоративных структур // Маркетинг. - 2007. - № 1. - С.88-101.

SEPARATE INTERACTION AND ENVIRONMENT IN MODERN CONDITIONS

EDUARD KAVTIDZE - Acad. doctor of Economy
TAMAR LAGVILAVA - PhD of GTU

Nowedays formation of a collactive agreement is becoming a matter of a great importance, were the foolowing principle works the best: „Everybody or nobody", that applies not only to the amount of a salary, but to the number of employed as well.

It‘s obvious that aid of the poor‘ll have not only special, but a general character. In fact, when a person rules his income himself he is more satisfied rather then when a part of his earnings is under somebody‘s influence. Let‘s consider that a middle class doesn‘t seem to encourage the hard up population.

We must suppose that those well off‘ll agree to help the most poors while when satisfing requirements of those rard up, the growth of the current income‘ll be more than is intended by the state.